თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ინფორმაცია პრესისათვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"
მის: თბილისი, მარჯანიშვილის 7
ტელ: 27 27 27, ფაქსი: 772 774
e-mail: pr@tbcbank.com.ge

# თიბისი ბანკის 5 ვარსკვლავიანი სესხები

*თბილისი, 5 ოქტომბერი, 2010* - **თიბისი ბანკში სესხების უპრეცედენტო კამპანია დაიწყო. პირველად საქართველოში, თიბისი ბანკი მომხმარებელს 5 ვარსკვლავიან სესხებს შესთავაზებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეიდან თიბისი ბანკის სამომხმარებლო, ავტო და იპოთეკური სესხები ყველაზე საუკეთესო პირობებითა და უნიკალური საშეღავათო სისტემით გაიცემა.**

## სესხები*****

1* - 1 თვიანი საშეღავათო პერიოდი

ამიერიდან თიბისი ბანკის მსესხებლებს მიეცემათ უნიკალური შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ, არ გადაიხადონ სესხის ყოველთვიური გადასახადი და, ამის მიუხედავად, მათ არ გაუფუჭდებათ საკრედიტო ისტორია. ჯამურად, მსესხებელს, შეეძლება გამოტოვოს იმდენი თვე, რამდენწლიანის სესხიც აქვს აღებული. მაგ., თუ სესხის ვადაა 5 წელი, საშეღავათო პერიოდი იქნება ჯამში 5 თვე, ოღონდ, ყოველ 1 წელიწადში -1 თვის გამოტოვების უფლებით.

ამ პრივილეგიით სარგებლობის თაობაზე, მსესხებელმა საჭიროა წინასწარ შეატყობინოს საკრედიტო ექსპერტს. აღნიშნული შეღავათით სარგებლობა მსესხებელს შეუძლია დაიწყოს სესხის აღებიდან 6 თვის შემდეგ.

2** - სესხები 1 დღეში!

თიბისი ბანკის სამომხმარებლო და ავტო სესხების გაცემის დრო რეკორდულად შემცირდა და დღეიდან მათი მიღება შესაძლებელია საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან სულ რაღაც 1 დღეში.

3*** - სმარტ ქულები საჩუქრად!

თიბისი ბანკის მსესხებლებს, სესხის აღებისთანავე, საჩუქრად დაერიცხებათ დამატებითი 500 სმარტ ქულა, რომელთა გადაცვლა შესაძლებელია პარტნიორ ობიექტებში, სასურველ საჩუქრებზე.

4**** - საუკეთესო სერვისი

ულტრათანამედროვე ფილიალების ქსელი, რიგების მართვის თანამედროვე სისტემა, მომსახურების ყველაზე მაღალი ხარისხი და კომფორტული გარემო – თიბისი ბანკის სესხების დამატებითი უპირატესობაა!

5***** - თქვენზე მორგებული პირობები

გამარტივებული პროცედურა და საუკეთესო საპროცენტო განაკვეთი:

- იპოთეკური სესხები – 14,5%-დან
- სამომხმარებლო სესხები – 18%-დან
- ავტო სესხები – 0%-დან

- ფიზიკური პირების მომსახურება;
- კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- კო-ბრენდ პროდუქტების ინოვატორი საბანკო სფეროში;
- ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვატორი საქართველოში;
- ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- FitchRatings: B + and B
- Moody's: B 3 and Ba 1

*სს ,,თიბისი ბანკი" დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.*